პროფესიული განათლება

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT
giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროფესიული განათლება-უმოკლესი გზა დასაქმებისკენ

პროფესიული განათლება არის განათლების ერთ-ერთი საფეხური, რომელიც ხელმისაწვდომია ცხრა კლასის დასრულების შემდეგ. პროფესიული განათლების თავისებურება გულისხმობს, თეორიის პარალელურად, მეტი პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას, რაც ზრდის კურსდამთავრებულთა შრომისუნარიანობასა და დასაქმების შანსს.

- ხელმისაწვდომია 9 კლასის დასრულების შემდეგ
- თეორიის პარალელურად პრაქტიკული კომპონენტის სწავლება
- პროგრამების შემუშავებასა და სწავლების პროცესში ჩართული დამსაქმებლები

დუალური პროფესიული განათლება

დუალური პროფესიული განათლება სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ერთდროულად მიიღოს. სამუშაოზე დაფუძნებული დუალური საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია დამსაქმებელთა ჩართულობის საფუძველზე და გულისხმობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სასწავლო პროცესის და სწავლის შედეგების მინიმუმ 50% მიიღწევა რეალურ გარემოში, საწარმოში პრაქტიკის გავლის შედეგად.

01

თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ერთდროულად მიღების შესაძლებლობა

სწავლა მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და კერძო კომპანიაში

02

სამუშაო გამოცდილება პროფესიულ დიპლომთან ერთად

კერძო კომპანია იღებს კვალიფიციურ კადრს, რომელსაც გადამზადება არ სჭირდება

03

დუალური პროგრამების განხორციელების პროცესში ჩართულია 50-ზე მეტი კერძო კომპანია

„ჰილტონი“, „პარაგრაფი“, „მ2“, „ორბი ჯგუფი“, „სილქნეტი“, „საქართველოს რკინიგზა“ და ა.შ.

პროფესიული განათლებაზე ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის

- შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირები სარგებლობენ ტესტირების განსხვავებული ფორმატით. მათთვის ყველა პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება ადაპტირებულია.
- შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია სხვა საჭირო დამატებითი სერვისები, როგორებიცაა ჟესტური ენის თარჯიმანი, ინდივიდუალური ასისტენტი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ტრანსპორტირება, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი.

სასწავლო გარემო

საქართველოს მასშტაბით მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები სრულიად არიან აღჭურვილნი დარგისა და პროფესიის შესაბამისი დანადგარებითა და ინვენტარით. სასწავლო პროცესში სტუდენტი პრაქტიკულ უნარებს ივითარებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე არსებულ ლაბორატორიებში, ისე - სახელოსნოებში და პარტნიორი კომპანიების საწარმოო ბაზებში.

პროფესიული განათლების უპირატესობა

პროფესიული განათლების მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ზოგადი განათლების საბაზისო საფეხურის (9 კლასის) დასრულების შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე. მსურველი, პირველ ეტაპზე უნდა დარეგისტრირდეს სასურველ პროგრამაზე და გაიაროს პროფესიული ტესტირება, რომელიც ხელმისაწვდომია წელიწადში ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული სასწავლო პროგრამები
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი
- როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლება
- სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული სწავლება

დუალური პროფესიული განათლების უპირატესობა

ბიზნესი უზრუნველყოფს ინსტრუქტორების ჩართულობას და სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესში ჩართვის შედეგად, კომპანია იძენს კვალიფიციურ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს. ბიზნესი უშუალოდ ზრუნავს სტუდენტის პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე, მისივე ექსპერტების ჩართულობითა და საჭირო პროფესიული უნარების განვითარებით.

01 სწავლის საფასურს ფარავს სახელმწიფო

02 სტუდენტი იძენს განათლებას და პრაქტიკულ გამოცდილებას ერთდროულად

03 თეორიული სწავლების პარალელურად, სტუდენტი არის დასაქმებული და იღებს შესაბამის ანაზღაურებას

სწავლების მეთოდები პროფესიულ და დუალურ განათლებაში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტებისა და დამსაქმებელთა ჩართულობის საფუძველზე.

ხელმისაწვდომი პროფესიები

პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 100-ზე მეტი პროფესიის დაუფლებაა შესაძლებელი.

ყველაზე პოპულარული შემდეგი პროფესიებია:

- კულინარიის ხელოვნება
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
- ვებ ინტერფეისის დეველოპერი
- ელექტროობა
- ბუღალტრული აღრიცხვა
- კონდიტერია
- ვებ ინტერფეისის დიზაინერი
- საოფისე საქმე
- საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი
- თმის სტილისტი
- საფინანსო სერვისები
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი
- შედუღება
- რკინიგზის ოპერირება

ინფორმაცია პროფესიული კოლეჯების შესახებ

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა 92% კმაყოფილია მიღებული პროფესიული განთლებით და თავიდან რომ იღებდეს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან და დაწესებულებასთან დაკავშირებით, იმავე არჩევანს გააკეთებდა.

39 სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება

987 პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაცია

65 კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება

13 დუალური პროგრამების განმახორციელებელი კოლეჯი

ჩარიცხვის პროცედურა

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მათ შორის, დუალურ პროგრამებზე რეგისტრაცია ცხადდება სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია პირადობის მოწმობით საქართველოს მასშტაბით არსებულ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ინფორმაცია პროფესიული ტესტირების შესახებ და საგამოცდო ტესტების ნიმუშები განთავსებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდსზე: bit.ly/profesiuli_testebis_nimushebi

რეგისტრაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე	პროფესიული ტესტირების გავლა
ერთი მიმართულების ქვეშ არსებულ რამდენიმე პროგრამაზე რეგისტრაციის შესაძლებლობა	ფორმითა და სირთულით განსხვავდება ერთიანი ეროვნული გამოცდებისგან

სწავლის საფასური

საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირების და პროფესიული ტესტირების გავლის წარმატებით გავლის შემთხვევაში, აპლიკანტი სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

სახელმწიფოსგან სრული დაფინანსების მისაღებად საჭიროა:

- საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაცია
- პროფესიული ტესტირების გავლის შემდგომ კომპეტენციების მინიმალური ზღვარის გადალახვა

პროფესიული განათლება სკოლებში

ინტეგრირებული პროგრამის გავლა სრულდება დიპლომის გაცემით, რომელიც გათანაბრებული იქნება სრული ზოგადი განათლების ატესტატთან. რაც ნიშნავს იმას, რომ პროგრამის კურსდამთავრებული ერთდროულად მიიღებს პროფესიულ კვალიფიკაციას და სრული ზოგადი განათლების კომპეტენციას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის (10-12 კლასი) სწავლის შედეგების ინტეგრაცია

შედეგად, პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს

- **პროფესიულ კვალიფიკაციას**
- **სრული ზოგადი განათლების კომპეტენციას**

განათლების ხარისხი

პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით - ხელმძღვანელების, პროფესიული მასწავლებელების თუ ინსტრუქტორების გათვალისწინებით. ასევე, საქართველოს მასშტაბით მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები სრულიად არიან აღჭურვილნი დარგისა და პროფესიის შესაბამისი დანადგარებითა და ინვენტარით.

01 **საგანმანათლებლო დაწესებულებები აღჭურვილია დარგისა და პროფესიის შესაბამისი დანადგარებითა და ინვენტარით**

02 **საგანმანათლებლო დაწესებულებები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით**

03 **პროგრამები შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად**

დასაქმების შესაძლებლობები

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა 62% აბსოლუტურად კმაყოფილია თავიანთი სამსახურით

ყველაზე მეტად დასაქმებადი მიმართულებები

- აგრარული მეცნიერებები
- ინჟინერია
- მიმართულებათშორისო დარგები ან სპეციალობები (მაგ: ბარმენი, ტუროპერატორი)
- ბიზნესის ადმინისტრირება

კურსდამთავრებულების ხელფასი

400 -დან 6000 ლარამდე

დასაქმების სტატისტიკა

- 49% — დაქირავებით დასაქმებული
- 11% — თვითდასაქმებული
- 7% — სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში
- 4% — სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
- 1% — გადის სტაჟირებას/მუშაობს შეგირდად

სად შეიძლება მოვიძიო ინფორმაცია?

01

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

www.mes.gov.ge pr@mes.gov.ge (995 32) 2 200 220

02

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის პორტალი

www.vet.emis.ge

03

პროფესიული განათლების ვებ-გვერდი

www.vet.ge

მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადება ზრდასრულებისთვის

ნებისმიერ ზრდასრულს სახელმწიფო აძლევს საშუალებას ჩაებას პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიან პროგრამაში.

- რეგისტრაცია ვებგვერდზე – www.vet.emis.ge
- სასურველი პროგრამის არჩევა
- სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი